შაბათი, 4 აგვისტო 1907 წ.

წელიწადი პირველი—№ 170

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: პეტელრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 6-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. დიდი წერილები და მოთხრობები ... რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

«ისარი»-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შეუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ზედმეტ ფულს. პირველ აგვისტოდან გაზეთი ღირს: ტფილისში—ვისაც 4 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 80 კ. მეტი.

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—3 მ. 50 კ. ტფილისს გარედ—4 მ. საზღვარ-გარედ—6 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

გულდამწვარნი იაკობ და ელენე კორძახიები და ეკატერინე ცერაძისა გულითადის მწუხარებით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავის ძმის და შვილის, 1 აგვისტოს პირველისა—ძეობის და დაუვიწყარის შვილის, ხოლო ...

**გიორგისას.**

(1—ფ.—1)

## კერძო სასწავლებელი პირველ ხარისხისა

(რეალურ-კლასიკური გიმნაზია)

ექვემდებარება სახალხო განათლების სამინისტროს

**ვ. ა. და ა. ს. ლევანდოვსკებისა.**

სასწავლებელი შედგება სამკლასიან **„მოსამზადებელი სკოლისაგან"** საბავშვო ბაღით, სამ კლასიან **„დაწყებითი სკოლისაგან"** და ხუთ კლასიან **„საშუალო სკოლისაგან"**.

**პანსიონი ვაჟებისათვის.**

15 სექტემბრამდე მიიღებიან (განსაზღვრული რიცხვი) ვაჟები და ქალები „მოსამზადებელ სკოლაში".

1. სავალდებულოა პრაქტიკულად შესწავლა ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენებისა; ... მათ. და საბუნებ. მეცნიერებათა; ადგილობრივ ენებისა, მუსიკის და ხელოვნების შესწავლა სავალდებულო არ არის.
2. ბავშვთა გონებისა, ხასიათის და ნების აღზრდა; ინდივიდუალობის განვითარება.
3. ჯანმრთელობის შენახვა და ფიზიკური განვითარება ბავშვებისა: გიმნასტიკა, ატლეტიური სათამაშოები, სპორტი, მუშაობა ინგლისურ და ამერიკულ სკოლების სისტემისამებრ და ექიმების მეთვალყურეობით.

(ცნობებისთვის მსურველმა 15 აგვისტომდე უნდა მიმართოს ტეხნიჩესკი ქუჩაზე დიდი მთავრის ქუჩის მახლობლად), ს. № 4. საქმე დღეებში 9-დან 11 ს. (10—6—9)

ექიმი

**ე. ფაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—00)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიული.** ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 9—10 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—152)

ექიმი

**გ. ხ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დ ლ ს 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (28—228—9)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

ტფილისში

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

**მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფების.**

**მაწყინდ ბაგაძვანოვი**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ა. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ფანჯავიძოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ა. გ. პავლენოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ, ბ. კიმონძე**: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**ბ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,

**ა. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—94)

ელექტროთერაპიული

## კაბინეთი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ნერვებით ავადმყოფთ დილის 12—1 ს. საღ. 6—7 ს. ვერაზე ყორღანოვის ქუჩა, 20. ტელ. 791. (25—6.—3)

**ქუთაისში**

ექიმი მაცრიუხოვი.

მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ქიშკარიდან. (60—ფოს.—60)

## დავკარგე

**უბის წიგნი, უვადო პასპორტი, ვექსილები** და სხვა **საბუთების ქაღალდები,** სადგურ **რიონიდან** მიხაილოვამდე.

მნახველს **საჩუქრათ 25** მან.

ადრესი: **ახალსენაკში**—ბებითო შალამბერიძეს და **ქუთაისში**—რესტორან „ქიათურაში" მიხა ქუთელის.

(2—237—1) **ვლადიმერ ხუხუნი.**

**ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა" (№ 76)**

აკაკი

## იგავ-არაკები

კრილოვისა

ახალი, სრული გამოცემა, მრავალი სურათით. წიგნში მოთავსებულია 154 იგავ-არაკი. ფასი 50 კაპ.

იყიდება ყველგან. საწყობი „საზოგადოების" მაღაზიაში. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ Об—ва грамотности. (4—2)

**დ**ირექტორი საკომერციო სასწავლებლისა, გამგე **მანთაშევის სავაჭრო სკოლისა,** აცხადებს, რომ სკოლა მოთავსდება კომერციულ სასწავლებლის შენობაში და მისაღები საკონკურსო გამოცდა მოსამზადებელ კლასის უფროს განყოფილებაში მოხდება 27 და 28 აგვისტოს. თხოვნის შემოტანა და საჭირო ცნობების მიღება სკოლის შესახებ შეიძლება კომერციულ სასწავლებლის კანცელარიაში. (10—231—2)

## ჭიათურის

საქალებო პროგიმნაზიაში,

სადაც წრეულს პირველი კლასიც გაიხსნება, მოსწავლეთა მიღება დაიწყება პირველ სექტემბრიდან ყველა კლასებში. სამინისტროს ახალ განკარგულების ძალით, მიიღებიან აგრეთვე ვაჟებიც—არა უფროს ათის წლისა. (2—ფ—1)

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი:

## ჩვენი მწერლობა

სალიტერატურო ქრისტომატია საშუალო სასწავლებელთათვის.

**ნაწ. I: მგოსნები.**

ბიოგრაფიებით და ლექსიკონით.

შედგენილ-გამოცემული

**ს. რ. გორგაძის მიერ.**

ფასი უყდოთ **ათი შაური** იყიდება „ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა) და შემდგენელთან: ტფილისი, ვერა, არაგვის ქუჩა № 8, ეგაძის სახლი.

ფოსტა-ტელეგრაფის ადრესი: Тифлисъ. Арагвинская улица № 8, Сергѣю Романовичу Горгадзе.

ვინც შემდგენელისაგან ერდროულათ ათსა და მეტ ცალს იყიდის, თვითეული წიგნი დაეთმობა **ცხრა შაურად.** წიგნის მაღაზიებს წიგნი ეძლევათ ჩვეულებრივის 20%-ის დათმობით. (10—6.—2)

## ტფილისი, 4 აგვისტო

ამას წინად ჩვენ მოყვანილი გვქონდა რამდენიმე ფაქტი, რომელიც ამტკიცებდა რუსეთის მთავრობის პოლიტიკის შეცვლას ფინლიანდიის შესახებ. ასეთია ფინლიანდიის ბედი: როგორც-კი რუსეთში რეაქცია ძლიერდება, მისი ავტონომია ხიფათში ვარდება. როცა განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო, ფინლიანდიამ მოახერხა და აღადგინა თავისი პოლიტიკური უფლებანი, რომელნიც რუსეთის მთავრობამ თან და თან წაართვა ალექსანდრე მესამისა და აწინდელ იმპერატორის მეფობის პირველ ხანებში. მაგრამ, შესუსტდა თუ არა მოძრაობა და რეაქციამ კვლავ წამოყო თავი, ფინლიანდიის თავისუფლებაც კვლავ განსაცდელში ჩავარდა.

როგორც ყოველთვის, ახლაც განგაში რეაქციონულმა გაზეთებმა დაიწყეს. რუსეთის იმპერიის, რუსეთის ხალხის ინტერესების სახელით ისინი მოითხოვენ „ვერაგ ფინლიანდიელების" ალაგმვას, „მოღალატე სეპარატისტების" დასჯას; იწყებენ ათას ჭორის გავრცელებას და უმთავრესად იმას, რომ ფინლიანდია იარაღდება რუსეთისაგან სავსებით განთავისუფლებისათვის ბრძოლის დასაწყებად და სხვა. „ნოვ. ვრ.", რომელიც ყოველთვის მეთაურობს ფინლიანდიის საწინააღმდეგო კამპანიას, უკვე ერთი წელიწადია ენერგიულად მოითხოვს ფინლიანდიის მიმართ აგრესიულ პოლიტიკას. ბოლოს, ამ ერთის თვის წინად, მთავრობის მხრითაც იქმნა მიღებული ერთი ზომა, რომელმაც ფინლიანდიელებიც შეაშფოთა და საგონებელში ჩააგდო. ეს იყო ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის გერარდის „დროებით" სამსახურიდან დათხოვნა და ახალის გენ.-გუბერნატორის დანიშვნა. გერარდი თვითონაც ფინლიანდიელია და დიდის პატივისცემით ეპყრობა ამ ქვეყნის ავტონომიას, მომხრეა მის კონსტიტუციისა და თავგამოდებით სცდილობდა დაეცვა ფინლიანდიაში ახლად აღდგენილი წესწყობილება. ამით მან დაიმსახურა „ჭეშმარიტ რუსთა" უზომო მძულვარება და დევნა. ბოლოს, რეაქციონერთა ღაღადს მთავრობამაც მიაქცია ყურადღება. როგორც ფიქრობენ, გერარდს ფინლიანდიაში არ დააბრუნებენ ან და დროებით დააბრუნებენ და მალე სამუდამოდ გადააყენებენ თანამდებობიდან. ამ ფაქტში თვით ფინლიანდიელნი და რუსეთის მოწინავე პრესსა ხედავენ მთავრობის პოლიტიკის შეცვლას ფინლიანდიის შესახებ.

ესეთი შიში და მოლოდინი უსაფუძვლო არ გამოდგა. როგორც ნათლად სჩანს, ფინლიანდიას მართლა მოსდგომია კარს გასაჭირი და ეს მრავალტანჯული ერი კვლავ უნდა ეწამოს თავისუფლების დასაცველად. უტყუარი საბუთი ამისა ის არის, რომ მთავრობას უკვე წარუდგენია ფინლიანდიის სენატისთვის ახალი მოთხოვნანი და ოფიციალური გაზეთ „როსსია" აფრთხილებს კიდეც ფინლიანდიის ერს.

ხსენებული გაზეთი აღნუსხავს შემდეგ მოთხოვნათ: ფინლიანდიამ უნდა გადაიხადოს 20 მილიონი მარკა, 1906 და 1907 წ. სამხედრო ბეგარა (ნაცვლად მცხოვრებთა პირად გაწვევისა ჯარში). ფინლიანდია ამაზე უარს არ ამბობს, მხოლოდ იცავს იმ უფლებას, რომ ეს ხარჯი სეიმმა უნდა დაამტკიცოს და ამის მიხედვით სეიმისავე კანტროლის ქვეშ უნდა დაიხარჯოს გადადებული ფული, ე. ი. შემდეგში სეიმს უნდა წარედგინოს ამ ფულის მოხმარების ანგარიში. ამ უფლებას სენატი ამყარებს სეიმის წესდების მე-27 მუხლზე, რომელიც პირდაპირ აკანონებს ხსენებულ წესს. მაგრამ რუსეთის მთავრობა მოითხოვს, ეს ფული გადადებულ იქმნას სეიმის დაუკითხავად. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს უბრალო ფორმაა და თუ-კი გადახდა სავალდებულოა, რაღად აზვიადებენ საქმეს სეიმის წესდების ასრულების მოთხოვნით. მაგრამ საქმე ისაა, რომ მთავრობის მოთხოვნა პირდაპირ არღვევს ფინლიანდიის კონსტიტუციას და ერთი დათმობა შექმნის საშიშ პრეცედენტს... მეორე მოთხოვნა შეეხება სენატის უფლებას—განსაზღვროს ის ადგილები, სადაც ფინლიანდიის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ რუსულის ენის ცოდნა მოეთხოვებათ; დღემდის ეს უფლება ფინლანდიას ჰქონდა თითონ, ახლა ამის დასაკუთრება რუსეთის ცენტრალურ მთავრობას მოუწადინია... დანარჩენი მოთხოვნა უფრო წვრიმალია და შეეხება ტარიფის საქმეს, რკინის გზით სარგებლობასა და სხვათ. ყველა ეს მოთხოვნა, მართალია, ზღუდავენ ფინლიანდიის ავტონომიას, მაგრამ მაინც ასე ვთქვათ კანონიერნი არიან იმ მხრით, რომ განსაზღვრულ კანონებს შეეხებიან და მათ შესახებ მოლაპარაკება და ცოტად თუ ბევრად გარკვეულის modus vivendi-ს დადება შეიძლება. ბევრად უფრო საშიშია და ამასთანავე სიმპტომატიური მნიშვნელობა უფრო აქვს სხვა გვარ მოთხოვნას, რომელიც ამა თუ იმ კანონს-კი არ შეეხება, არამედ მთლად ფინლიანდიის წესწყობილებას, მის კონსტიტუციას, მის ავტონომიურს უფლებათ.

ასეთია რუსეთის მთავრობის მოთხოვნა, რომ „ფინლიანდიამ მისცეს რუსეთს საბუთი თავის ლოიალობისა", დაამტკიცოს, რომ იგი ერთგულია რუსეთისა. ამის დამტკიცება-კი შეიძლება იმით, რომ ფინლიანდია უნდა დაეხმაროს მთავრობას რევოლიუციასთან ბრძოლის საქმეში. ამის გამო ოფიციალური „როსსია" სწერს: ჩვენ (ე. ი. მთავრობამ) ვიცით დანამდვილებით, რომ თითქმის ყველა უმთავრესი ტერორისტული აქტები ფინლიანდიის საზღვრებში იყო დამზადებული და მკვლელნი იქიდან ეცემიან ხოლმე რუსეთს. ამიტომ რუსეთის მთავრობა მოითხოვს, რომ მას ნება მიეცეს თავისუფლად სდევნოს რუსები ფინლიანდიაში. ასეთი მოთხოვნა პირდაპირ უდრის ფინლიანდიის მთელის წესწყობილების შეცვლას, მის კონსტიტუციის დათრგუნვას და სამაგიეროდ რუსეთის „განსაკუთრებულ დაცვის" წესებისა ან სამხედრო წესწყობილების შემოღებას. ფინლიანდიას საკუთარის კანონების შემწეობითაც შეუძლია ხელი შეუშალოს მის საზღვრებში სარევოლიუციო მოქმედების წარმოებას რუსეთის წინააღმდეგ; ამაზე უარს არ ამბობს; მაგრამ რუსეთის ცენტრალურ მთავრობის მოთხოვნას სულ სხვა სუნი უდის და სავსებით ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო და საზოგადოდ უბრალო კანონიერებასაც...

ამ გვარად, რუსეთის მთავრობას კვლავ იერიში მიაქვს ფინლიანდიაზე. დღევანდელი რეაქცია ვერ შურიგდება, რომ რუსეთის „საკუთრება", რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი კუთხე თავისუფლად სცხოვრობს და არ ემორჩილება მის ბრძანებას... მთელი ეს ისტორია და საერთოდ ფინლიანდია—რუსეთის ურთიერთობა უტყუარად ამტკიცებს, რომ არც ერთ განაპირა ქვეყანას არაფერი არ ეშველება, რაც უნდა თავისუფალი ავტონომია მიიღოს, სანამ რუსეთის პოლიტიკური წესწყობილება ძირიანად არ შეიცვლება, სანამ თვით რუსეთში არ დამყარდება ფართო პოლიტიკური თავისუფლება.

## ახალი ამბავი

✦ **კიდევ საიდუმლო სტამბის შესახებ ბაქოში.** უკვე ვწერდით, რომ ბაქოში პარალელნის და უსახელო ქუჩების კუთხეში პოლიციას აღმოუჩენია საიდუმლო სტამბა ს.-დემოკრატიულ პარტიისა. პოლიციის ცნობებით, ამ სტამბაში იბეჭდებოდა არალეგალური ჟურნალები „Рядовой", „Желѣзнодорожный Пролетаріатъ" და „Рабочій". სტამბა იატაკ ქვეშ მშვენივრად ყოფილა მოწყობილი და გაჩხრეკის დროს უნახავთ იქ ორი ასოთამწყობი. შემდეგ ჩასაფრებულან და თერთმეტი სხვა კაცი დაუპატიმრებიათ. ყველანი საპყრობილეში ჩაუსვამთ. სტამბის შესავალი ისე ყოფილა მოწყობილი, რომ არ ემჩნეოდა. უნახავთ დაბეჭდილი და ასაწყობი მასალა, აგრეთვე დამზადებული შრიფტი. ჟანდარმები ცხარედ შესდგომიან გამოძიებას.

✦ **ახალი ჟურნალი.** როგორც გადმოგვცეს, მალე ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილის რედაქტორობით ტფილისში გამოვა ყოველ-თვიური ჟურნალი.

✦ **ფოსტაზე თავდასხმა.** 2 აგვისტოს ევლახიდან ნუხში მიდიოდა ფოსტა. მიჰქონდათ 85,000 მანეთი. ამ ფოსტას ევლახის მახლობლად თავს დასცემია ათი შეიარაღებული კაცი. ამტყდარა სროლა, რომლის დროსაც მოუკლავთ ერთი სტრაჟნიკი და დაუჭრიათ მეორე. ფოსტა უვნებელი გადარჩა.

✦ **მოკლული გასათხოვარი ქალი.** მამადავითის გორაზე, ფუნიკულერიდან ერთი ვერსის მოშორებით, ხრამში 2 აგვისტოს ნახეს ყელ გამოჭრილი გასათხოვარი, ასე 18—20 წლის, ქალი. როგორც ეტყობა, ქალი ორი-სამი დღის წინად უნდა მოეკლათ. ვინაობა მოკლულისა, ჯერ არ არის გამოკვლეული. არა სჩანს, რომ ბოროტმოქმედებს ქალზე ძალა ეხმაროთ. სამაზრო პოლიციამ მოკლულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნა.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** პერმის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე იგზავნება „კახეთი"-ს, საზოგადოების მუშა მათე გორგილაძე, რომელსაც ჰბრალდება ბოიკოტი „კახეთის" მიმართ. ვიატკის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე იგზავნება ა. სადაგოვი, რომელზედაც ეჭვი აქვთ, რომ იგი უნდა იყოს მკვლელი ხაშურში ნ. ტეპცოვის, ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალათ მეტეხის ციხეში დაპატიმრებულს კრასნოიარსკის ორკლასიან სკოლის მასწავლებელს ვ. სიპკინს და ასტრახანელს ვ. დრობიშევს (პასპორტები არა აქვთ). რეხულის ხეობაში (დუშეთის მაზრა) სამხედრო წესების მოხსნამდე დაკეტეს უპატენტოთ არყისა და ღვინის ვაჭრობისთვის დუქნები ალექსი მარგიშვილისა, დიმო მელაძისა და დიმიტრი მუზაშვილისა.

✦ **ექიმების გაგზავნა.** მომავალ სა-

მოსწავლო წელს სამხედრო სამკურნალო აკადემიაში პეტერბურგს კავკასიის სამხედრო ოლქიდან იგზავნება 11 ექიმი სხვა და სხვა სპეციალურ საგნების შესასწავლად; მათ შორის ორი ქართველია: ა. თეთრაძე, უმცროსი ექიმი სამურის პოლკისა, და ი. ე. თიკანაძე, უფროსი ექიმი დარუბანდის პოლკისა.

✦ **ჟურნალის დაკეტვა.** გუშინ, 3 აგვისტოს, გენ.-გუბერნატორის განკარგულებით დაკეტეს ორკვირეული ჟურნალი „რიჟრაჟი“.

✦ **დრამატიული საზოგადოება.** ქართულ დრამატიულ საზოგადოებამ უკვე დაამთავრა სამი წლის განმავლობაში თვის მოქმედების ანგარიშის შედგენა. აზრადა აქვს საზოგადო კრება 12 აგვისტოსთვის დანიშნოს.

✦ **ახალი საპედაგოგიო ჟურნალი.** პედაგოგმა ლუარსაბ ბოცვაძემ გუშინ შუამდგომლობა აღსძრა გუბერნატორის წინაშე ნება მიეცეს გამოსცეს ორ თვეში ერთხელ სამეცნიერო საპედაგოგიო და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“.

✦ **ცეცხლი დეპოში.** 2 აგვისტოს ღამე რკინის გზის ტფილისის დეპოში 12 საათზე გაჩნდა ცეცხლი. საიდან და რა მიზეზით გაჩნდა ცეცხლი, არ არის გამორკვეული. ცეცხლი მოედო ორთქლმავალს და იქვე ახლო ფიცრებს. მსახურნი სადგურზე ფეხზე დადგნენ და შეუდგნენ ცეცხლის ქრობას. ზარალი 60.000 მანეთამდე იქნება.

✦ **მამასახლისის მოკვლა.** გურიაში, როგორც გვატყობინებენ, მოუკლავთ ლიხაურის სოფლის საზოგადოების მამასახლისი მიხეილ ვასაძე.

✦ **სპარსელი ქართველები.** სპარსელ ქართველების კახეთში გამგზავრება და 5-6 აგვისტოს თელავსა და სიღნაღში ლექციების გამართვა დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო აღარა ხერხდება. თუ გარემოებამ ხელი არ შეუშალა, ექსკურსანტები კახეთის დასათვალიერებლად შეიძლება მომავალ კვირაში წავიდნენ.

✦ **სოხუმის შუამდგომლობა.** სოხუმის ქალაქის თავს შუამდგომლობა აღუძრავს ნამესტნიკის წინაშე, დახმარება გასწიოს, რომ რაც შეიძლება ჩქარა იქმნას გაყვანილი რკინის გზა სოხუმიდან კავკავ-როსტოვის გზამდე. ეს შუამდგომლობა პეტერბურგს ბარონ ნოლდესთვის გაუგზავნიათ და თანაც უთხოვნიათ, შუამდგომლობას მხარი დაუჭიროს ფინანსთ სამინისტროში.

✦ რედაქციამ მიიღო ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: 1. „მესხეთ-ჯავახეთის გათათრება“, შედგენილი ჭიჭინაძის მიერ. ფასი ორი შაური; 2. „ქართველების გამაჰმადიანება“, ზ. ჭიჭინაძისა, ფასი ექვსი შაური; 3. „შაჰ-აბაზის შემოსევა საქართველოში“, დიმიტრი ჯანაშვილისა (გადმობ. „მოგზაურიდან“) ფასი ორი შაური; 4. „საქართველოს გაერთიანების აზრი მე-18 საუკუნეში“, ზ. ჭიჭინაძისა (გადმობ. „მოგზაურიდან“). ფასი ორი შაური; 5. „ქართველები სპარსეთში“, მესამე გამოცემა. ფასი ერთი აბაზი.

✦ ხუთშაბათს, 2 აგვისტოს, პოლიციამ დააპატიმრა შალვა გურამიშვილი და ივანე გიუნაშვილი, რომელთაც ჰბრალდებათ 1 აგვისტოს ვასო ხუბიერაშვილზე თავდასხმა და 100 მან. წართმევა. პოლიციის ცნობებით, დაპატიმრებულნი გამოტყდნენ.

✦ ხუთშაბათს, 2 აგვისტოს, თამარდინის ქუჩაზე მე-38 № ის სახლში ფანჯარასთან მჯდომ 16 წლის ყმაწვილის გიორგი ისახანოვისთვის ვიღაც უცნობს რევოლვერი უსროლია. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: «უმორჩილესად გთხოვთ ეს პატარა წერილი მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში. ივნისის შუა რიცხვებში იყო გამოცხადებული გაზეთის ფურცლებზე, ვითომ-და მე დამჭრა მალაქია სხირტლაძემ. ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია. იმ შემთხვევაში მე მეძინა და, რასაკვირველია, ვერც დავინახავდი მსროლელს. რაც შეეხება მალაქია სხირტლაძეზე ჩემ მხრივ ეჭვის მიტანას, ეს მხოლოდ შეცდომაა, რაზედაც ბოდიშს ვიხდი. გ. სხირტლაძე.»

✦ 2 აგვისტოს, საღამოს 10 საათზედ, ბოდბის ქუჩაზე მცხოვრებ ალექსანდრე ზუბოვმა დანით მარცხენა გვერდში დასჭრა გიორგი საბიდაშვილი.

✦ პეტერბურგის ქუჩაზე, შჩიგროვის ბინიდან, 2 აგვისტოს ღამე ქურდებმა 300 მანეთის ნივთები მოიპარეს.

## პატარა ფელეტონი

### დღევანდელი მოციქულები.

ფრიად საყურადღებო წერილია მოთავსებული გაზ. „რუს. ვედ“-ში რუსეთის უცხო ტომთა შორის მართლ-მადიდებელ სამღვდელოების მოღვაწეობის შესახებ. დინჯად, სერიოზულად იკვლევს ავტორი ანაფოროსან „ჩიანოვნიკების“ მისსიონერობას, იმათ ცდას და ათასნაირ ხრიკებს უცხო ტომთა მართლ-მადიდებელ ეკკლესიაში მოსაქცევად. ამ მისსიონერების ღმერთი—მთავრობაა, მთავრობის საკურთხეველთან სწირავენ ისინი თავის მსხვერპლს, მხოლოდ არა ძველ ქურუმთა მზგავსად, რომელნიც კერპის სადიდებლად შეწირულ ზვარაკის უმსუქნეს ნაწილს სწვამდნენ, თავისთვის კი უმცირესს იტოვებდნენ. დღევანდელი მისსიონერები უმცირეს ნაწილს სწვავენ, უმსუქნეს კი თავისთვინ სტოვებენ. დღევანდელი სამღვდელო მისსიონერების მთელი ცდა იმაზეა მიქცეული, რომ სახელმწიფოს გამგეებს ყალბად მონათლულ უცხო ტომთა დიდი რიცხვი აჩვენონ, თვითონ კი მსუქანი დაწინაურება ჩაიგდონ ხელში. იმათ სრულებით იმის დარდი არა აქვთ, რომ უცხო ტომის ხალხს სახარების შინაარსი შეაგნებინონ. როდის გაუმხელიათ იმათ ამ შესანიშნავ წიგნის შინაარსი თავისი ტომის ხალხისათვის, რომ უცხო ტომის ხალხს გაუმხილონ. ისინი სულ იმას ცდილობენ, რომ ეშმაკური ხრიკებით და სხვადა-სხვა დაპირებით მოატყუონ უცხო ტომელნი, მონათლონ და თვის მიერ მოქცეულთა სიაში მოათავსონ ისინი, რათა ამით მთავრობას თავი მოაწონონ და დააწინაურებინონ.

მისიონერები ჰპირდებიან მაგალითად იმ ჩუქჩებს, რომლებიც მართლ-მადიდებლობას მიიღებენ, საჩუქრად თუთუნს, სპილენძის ქვაბებს და სხვა-და-სხვა წვრილმან ნივთებს. ამნაირად შეტყუებული ჩუქჩები ინათლებიან, შემდეგ კი ნამდვილ გულ-უბრყვილო ბავშვებსავით ხალ-ახლა მოდიან მისიონერებთან და ევედრებიან, ხელ-მეორედ მოგვნათლეთ, ოღონდ კიდევ დაგვირიგეთ თუთუნი, ქვაბები და სხვა საჩუქრებიო.

წერილის ავტორი მაქსიმოვი თვითონ დაესწრო შემდეგ საყურადღებო სურათს. ერთმა ახალგაზდა ჩუქჩამ გამოუცხადა მღვდელ-მისიონერს, თანახმა ვარ მოვინათლო, თუ დაპირებულ, საჩუქარს, რამდენსამე გირვანქა ჩერქეზულ თუთუნს, მომცემო. დანიშნულ დღეს ხალხმა მოიყარა თავი სამლოცველო სახლში და მღვდელი შეუდგა წესის ასრულებას. მოსანათლავი ჩუქჩა წყნარად იდგა, სანამ არ უთხრეს, წყლით სავსე ემბაზში სამჯერ უნდა ამოგავლოთო. ჩუქჩამ პროტესტი გამოაცხადა და სთქვა, ამგვარი მოქმედება სრულებით საჭირო არ არისო. მღვდელი დიდხანს ეხვეწებოდა, არა ერთხელ ახსენა დაპირებული თუთუნი და ბოლოს როგორც იყო დააჯერა; ახალგაზდა ჩუქჩა ემბაზში შეხტა, მაგრამ, ცივი წყლით შეშინებული, მაშინავე გარედ გამოხტა და კბილების ძაგძაგით სამლოცველოში სირბილი დაიწყო დაყვიროდა: „კმარა, კმარა; ახლა მომეცი დაპირებული თუთუნი და სახლში გამიშვიო“!

ავტორს მოჰყავს უცხო-ტომელ იუკაგირების მიერ გულ-უბრყვილოდ მოთხრობილი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ ესმის იმათ მიღებული მართლ მადიდებლობა. ცარიელი გარეგნული ნიშნების მეტი არაფერი უსწავლებიათ საბრალო ადამიანებისათვის მათი სულის განმანათლებელ მისსიონერებს. ავტორის მაქსიმოვის წერილი*) სავსეა მისიონერების სამარცხვინო მოღვაწეობის მაგალითებით. მკითხველის გულში მწუხარება და ზიზღი იღვიძებს. უნებლიედ გახსენდება არა ოფიციალური, მთავრობის მოჯამაგირე მისიონერები, არამედ ისეთი ნამდვილი ქრისტიანები, როგორიც იყო მაგალითად მცირედ ცნობილი რუსის მოგზაური მიკლუხო-მაკლაი, რომელიც ველურ ხალხთა შორის ცხოვრობდა და ღმობიერებით, გულ-მტკივნეული მოპყრობით ისე შეაყვარა თავი ველურებს, რომ სამშობლოში ისე არ გაუშვეს, სანამ პირობა არ ჩამოართვეს, ორი წლის შემდეგ დაბრუნებულიყო. იმან პირობა აასრულა და როცა დაბრუნდა, აღტაცებით მიეგებნენ ველურები და იმის პატარა სახლთან მიიყვანეს, რომლის გარშემო ყრუ ღობე შემოევლოთ, რათა არავინ შესულიყო შიგა. მიკლუხო-მაკლაიმ ყველა თავისი დატოვებული ნივთები თავ-თავის ადგას ნახა: არავინ ხელით არ მიჰკარებია თავისი საყვარელი მეგობრის საკუთრებას.

მიკლუხო-მაკლაის მოღვაწეობა უცნობია, მისსიონერებმა კი თავისი სასირცხო მოციქულობის ქება-დიდებით ქვეყანა აავსეს.

ი. ნაკაშიძე.

*) Русск. Вѣд. № 171.

### მოწოდება კახელ მეურნეთა მიერ.

(წერ. რედ. მიმართ)

ამ ბოლო დროს ძლიერ გაჭირდა ცხოვრება. ყველაფერი გაძვირდა, ერთი ორად და ერთი სამად გახდა, ხოლო ჩვენმა შემოსავალმა არა თუ არ იმატა, [illegible] იკლო. თუ წინად ცოტას იოლად მივდიოდით, ეხლა სრულებით აღარ შეგვიძლიან ჩვენის შემოსავლით დავიკმაყოფილოთ უსაჭიროესი მოთხოვნილებანი. ქვეყანა აირ-დაირია, ყველა აქეთ-იქით მიაწყდა, [illegible], რომ ისე ცხოვრება, როგორადაც აქამდის ვცხოვრობდით, შეუძლებელია, უფსკრულში ჩავცვივდით და სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ ჩვენს ტურფა ქვეყანას. ყველა ჩვენ გვჩაგრავს, დავმაბუნდით გონებითაც და ფიზიკურადაც. აქამდის საჭმელს მაინც ვშოულობდით—ეხლა ესეც აღარ შეგვიძლიან. სხვა და სხვა მოულოდნელის ხარჯის გარდა, ამ ვაჭარ-ჩარჩებმა ხომ მთლად ჩაგვიგდეს თავიანთ კლანჭებში, და მათ თუ როგორმე თავი არ დავახწიეთ, მეორედ დამყარდება ჩვენში ბატონ-ყმობაც და მონობაც. ახალი ბატონები ჩვენი მცარცავი ვაჭარ-ჩარჩები არიან, და თუ მალე ჩვენს თავს არ მოუარეთ, უფრო საფუძვლიანად მოიკეცავენ ფეხს ჩვენს სარჩო-საბადებელზე და ჩვენს პიროვნებასაც დაიმორჩილებენ.

რით უნდა დავახწიოთ თავი მათ კლანჭებს? გარდა იმისა, რომ უნდა მეტი ცოდნა შევიძინოთ, მეტი პატიოსნება და თავმოყვარეობა ვიქონიოთ, მეტი სიმართლე და ერთმანეთის გატანაა საჭირო, არა ნაკლებ საჭიროა ცოტა მეტი ქონება მოვიპოვოთ. საერთოდ ბევრ სახსართაგან ქონების შეძენისთვის ერთ სახსარზედ მივითითებთ: რადგან მომეტებული ნაწილი კახეთის მცხოვრებთა მეურნეობას მისდევს—დავაარსოთ მეურნეთა საზოგადოება, რომელიც შეძლებას მოგვცემს:

1. ჩვენი ნაწარმოები, ჩვენი შრომა და ოფლი შესაფერს ფასად გაიყიდოს უვაჭროდ-უჩარჩოდ, უშუამავლოთ, ჩვენ მიერ არჩეულ წევრების საშუალებით, რომელნიც გაგვიხსნიან საწყობებს, სარდაფებს, ბიუროებს, იყოლიებენ აქა-იქ აგენტებს, ზოგს პირნახულსაც ერთმანეთში გავცვლით პირდაპირ;

2. ესევე საზოგადოება გაგვიხსნის საწყობებს, სადაც იაფად ვიყიდით გუთნებს, ნამგლებს, დანებს, სალეწ და სამკელ მაშინებს, გოგირდს და შაბიამანს, სხვა და სხვა თესლეულობას და აბრეშუმის თესლს. გაგვიადვილებს მორტირების შეძენას სეტყვის წინააღმდეგ საბრძოლველად;

## ფელეტონი

### კამათი ეროვნულ საკითხის შესახებ ბრიუნის კონგრესზე.

(შემდეგი *)

**პერნერსტორფერი.** ჩვენთვის ცხადია, რომ ეროვნულ საკითხის აღძვრას პარტიაში საჭიროება მოითხოვდა. თქვენ შეგიძლიანთ ამ საკითხის განხილვა ეხლაც გადასდოთ, მაგრამ იგი დაგვიბრუნდება იმ დრომდის, სანამ საბოლოოდ არ გადავჭრით მას. ნემეცის წინადადება რომ მივიღოთ, დიდ შეცდომას ჩავიდენთ. ოცდაათ წელიწადს ვქადაგებთ და ეხლაც რომ მაგაზე მეტი ვერაფერი ვერ გავაკეთო,თ მაშინ ამ საკითხის განხილვა არც უნდა დაგვეწყო.

ამხანაგმა ნემეცმა თავის წინადადებას კომპრომისი უწოდა. მაგრამ ერთი ვიკითხოთ, რა არის კომპრომისი. კომპრომისი ის არის, რომ ორი კაცი შუა გზაზე იყრება. როცა ერთი კაცი ერთ ადგილზე რჩება და მეორე მიდის იმასთან, ეს კომპრომისი არ არის. ნემეცი კი სწორედ ასე იქცევა. აქ ლაპარაკიც არ შეიძლება უმრავლესობის მხრით უმცირესობის დაჩაგვრაზე. ასეთი საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება ათი ან ოცი კაცის კენჭის ყრით. ეს საკითხი ერთხმად უნდა გადაწყდეს. ერთმა მხარემ რომ სრული უარი განაცხადოს, ჩვენ აღარაფერი გვეთქმის. მაგრამ ბოლოს თქვენც უნდა აღიაროთ, რომ თუ ჩვენ პარტიაშიაც არ მოხდა სრული თანხმობა, ეროვნულ ბრძოლის მოსპობა შეუძლებელი ყოფილა. ჩვენ ვერ ვენდობით მთავრობის სიბრძნეს. დემოკრატიას ჩვენ 30 წლის განმავლობაში ვთხოულობთ, გარდა ამისა, ჩვენ ბევრ ისეთ საჭიროებისთვის ვიბრძვით, რომელსაც ვერც დღეს განვახორციელებთ და ვერც ხვალ.

ამხანაგმა ნემეცმა ჩვენს რეზოლიუციას ცენტრალიზმი დააბრალა, რადგან ავსტრიაში სამეურნეო მთლიანობა არსებობსო. თუ მე არ ვცდები, მას სურს ეკონომიურად კარჩაკეტილ დამოუკიდებელ ეროვნულ ერთეულების დაარსება. ამაზე ხმაც არავის ამოუღია, ვინაიდან ჩვენ ყველანი მომხრენი ვართ, რომ გაფართოვდეს ეკონომიური ერთეული; ჩვენ ისიც კი გვსურს, რომ დაარსდეს ერთი ევროპიული საბაჟო კავშირი. მაგრამ თუ გვსურს, რომ ცოტად თუ ბევრად მაინც გაიფანტოს ეროვნული შუღლი, საჭიროა აღმოვაჩინოთ ის ბაზისი, რომელზედაც მომავალი შენობა უნდა დაიდგას. ჩვენ მოვალენი ვართ ყოველ ეროვნებას მოვუსპოთ საშუალება მეორე ერზე გაბატონებისა. ეს კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ყოველ ერის ბატონობის უფლება შემოფარგლული იქნება განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ამასთან, რასაკვირველია, საჭირო იქნება ეროვნულ უმცირესობის დაცვის გონიერი ორგანიზაცია. იმ სურათებზე, რომელიც აქ ამხანაგმა კრიშტანმა გადაგვიშალა, აქ ლაპარაკიც არ შეიძლება, რადგან ჩვენ ჯერ არ მიგვიღია ის თვალსაზრისი, რომელიც ეროვნებასა და რელიგიას ერთმანეთისგან არ არჩევს. იქნება ოდესმე მანდამდისაც მივიდეთ. ეხლა კი ჩვენ კონკრეტულ პირობებს უნდა შევუფარდოთ ჩვენი მუშაობა. ამიტომ წინადადებას გაძლევთ მიიღოთ კომიტეტის რეზოლიუცია.

სიტყვა ეკუთვნის დელეგატს **პრეისლერს**. საქმე იმაში კი არ არის, რომ უტოპიური წინადადება შემოვიტანოთ; საჭიროა ისეთი წინადადება, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას. ჩვენ ბურჟუაზიულ პარტიებსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება და საშუალება მივცეთ პირდაპირი წინადადება მიიღონ. ჩვენ ვალად გვადევს ერთად შევაერთოდ ბურჟუაზიული პარტიები. ელენბოგენისა და კრიშტანის წინადადებას ის შედეგი მოჰყვება, რომ შოვინიზმი ღრმად გაიდგამს ფესვებს და ყველა პატარა ეროვნება და ჯგუფი მოიწამლება ამ შხამით. ბურჟუაზიულ კლასებს ჯერაც ვერაფერი უსწავლიათ, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ეროვნულმა ბრძოლამ მათ აუარებელი გაკვეთილი მისცა: კლერიკალებსა და ფეოდალებს იმ დრომდე ექნებათ ძალა, სანამ კატასტროფა არ მოხდება, რომელსაც ჩვენ შეიარაღებული უნდა დავუხვდეთ. ვდგევარ რა ამ თვალსაზრისზე, ვემხრობი კომიტეტის რეზოლიუციას.

**ბანეკი** (ლაპარაკობს ჩეხურად). ჩემის აზრით მომავალ ავსტრიის საქმეებზე ლაპარაკი ნაადრევია. დღევანდელ საკითხს ორი მხარე აქვს: პირველი, როგორი უნდა იყოს ავსტრია მომავალში და მეორე, რის გაკეთებას ვაპირებთ დღეს. კომიტეტის რეზოლიუციას ის ნაკლი აქვს, რომ იგი არ არჩევს ამ ორ მხარეს და ირყევა მათ შორის. მისი პირველი ნაწილი სამართლიანია, მაგრამ როცა იგი ცდილობს საკითხების პრაქტიკულად გადაწყვეტას, მისი შესრულება შეუძლებელი ხდება. ავსტრიის პროვინციებს უკვე აქვთ თავიანთი საზღვრები და ახალ ეროვნულ ოლქების დასაარსებლად საჭიროა ახალ საზღვრების გავლება. წინად ვიღაცამ სამართლიანად შენიშნა, რომ ჯერ არ დასრულებულა პროცესი ერთა აღევ-დარევისა, რომ ეროვნული უმცირესობა შეიძლება გადაიქცეს უმრავლესობად. და მაშინ ხელმეორედ დაგვჭირდება საზღვრების შეცვლა. ჩემის აზრით უმჯობესი იქნება, რომ სრულიად მოვსპოთ ყოველ გვარი საზღვრები და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მსგავსი ეროვნული საზოგადოებანი დავაარსოთ.

რეფერენტი **ზელიგერი.** კომისიას გუშინ კრება ჰქონდა და მეც სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ მან ყოველ-გვარი დაბრკოლებანი გადალახა. სანამ არსებითად დავიწყებდე საკითხის გარჩევას, მსურს ერთი პირადი შენიშვნა გამოვთქვა. ამხანაგებმა ადლერმა და ელენბოგენმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ მე ძალიან გამიძნელდება წამოყენებულ რეზოლიუციის დაცვა. ეს შენიშვნა სამართლიანია მხოლოდ ფორმალურის მხრივ. მე წინდაწინვე ვიცოდი, რომ ჩეხი ამხანაგები მოინდომებდნენ რეზოლიუციის ძირითად შეცვლას, მაგრამ ვთქვი, რომ კონგრესი ერთხმად მიიღებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას და ამიტომ ჩვენ იძულებული ვიქნებით ერთმანეთს დავუთმოთ მეთქი. არ მეგონა, რომ საქმე ასე ადვილად გადაწყდებოდა. კამათი გამოიწვია უმთავრესად რეზოლიუციის ხუთმა მუხლმა. რეზოლიუციის შესავალსა და დასკვნაზე ბევრი დრო არ დაგვიხარჯავს, რადგან საზოგადო კამათის დროს მათ წინააღმდეგ ცოტად თუ მეტად საყურადღებო არავის არაფერი უთქვამს. კომისიამ შეიმუშავა შემდეგი რეზოლიუცია:

1—5 მუხლი ასე შევცვალეთ:

1) ავსტრია უნდა გადაკეთდეს ისეთ სახელმწიფოდ, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ეროვნებათა დემოკრატიულ კავშირს.

2) ისტორიულ პროვინციების მაგივრად უნდა დაარსდეს თვითმართველი და ეროვნულად შემოფარგლული ადმინისტრატიული ერთეულები, სადაც კანონმდებლობა და მართვა-გამგეობა ჩაბარებული ექნება საყოველთაო, პირდაპირ და თანასწორ კენჭის ყრით არჩეულ ეროვნულ პარლამენტს.

3) ერთ და იმავე ერთ თვითმართველი ოლქები შეადგენენ ერთ ეროვნულ კავშირს, რომელიც სრულიად ავტონომიურად განაგებს საკუთარ ეროვნულ საქმეებს.

4) ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს უზრუნველ-ჰყოფს იმპერიის პარლამენტის მიერ გამოცემული განსაკუთრებული კანონი.

5) ჩვენ არა გვწამს არავითარი ეროვნული უპირატესობა, ამიტომ უარვყოფთ სახელმწიფო ენას; მიწერმოწერისთვის საჭირო საზოგადო ენას დააწესებს და აირჩევს იმპერიის პარლამენტი.

ამ ხუთი მუხლის შემუშავების დროს კომისია ხელმძღვანელობდა კონგრესზე გამოთქმული აზრებით. პირველი მუხლი უფრო მკაფიო განმეორებაა წინანდელ რეზოლიუციის იმავე მუხლის. მეორე მუხლი შეიცვალა იმ გაუგებრობის გასაფანტად, რომელშიაც ჩაცვივდნენ ზოგიერთი ამხანაგები, მაგალითად, ამხანაგ ნემეცს გუშინ ეგონა, რომ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყობა სამეურნეო საქმეების მართვა-გამგეობა ეროვნულ ოლქებში. ისიც აღვნიშნეს, რომ მეორე მუხლში ნათქვამი არ არის, თუ რას წარმოადგენს ეროვნული ოლქი, რა უფლებები აქვს მას და რა საქმეები ექნება ჩაბარებული. შეუძლებელია რეზოლიუციაში ჩამოთვლა იმ საქმეებისა, რომელიც ჩაებარება თვითმართველ ეროვნულ ოლქს. მისი დანიშნულების გამოსარკვევად ჩვენ პირდაპირ გამოვაცხადეთ, რომ ისტორიულ პროვინციების მაგივრათ უნდა დაარსდეს ეროვნულად შემოფარგლული თვითმართველი ორგანიზმები, რომელთაც დაახლოვებით ისეთივე ფუნქციები ექნებათ, როგორიც აქვთ ეხლანდელ ისტორიულ პროვინციებს. გუშინ ისიცა სთქვეს, რომ შეერთებულ კომისიის რეზოლიუციიდან ნათლად არა სჩანს, როგორ უნდა იყოს აშენებული ორგანიზაცია ეროვნულ ოლქისა. რათა უფრო ნათლად გამოგვეთქვა ჩვენი აზრი, ჩვენ შევცვალეთ მესამე მუხლი. გთხოვთ მხედველობაში იქონიოთ, რომ ეროვნულ ოლქებსაც თითქმის იგივე უფლებები ექნება, რაიც აქვთ ეხლანდელ პროვინციებს. მაგალითად, „გერმანიის ბოჰემიის“ თვითმართველი საზოგადოება შეუერთდება ავსტრიის დანარჩენ გერმანელთა საზოგადოებებს, შეჰკრავს მათთან ერთად ერთ კავშირს და განაგებს ავსტრიაში მცხოვრებ ყველა გერმანელთა ეროვნულ საქმეებს. საზოგადო საქმეებისთვის კი ჩვენ გვაქვს პარლამენტი, რომელიც, რასაკვირველია, უნდა აირჩეს საყოველთაო, პირდაპირ და თანასწორ კენჭის ყრით.

ა.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ისარი“ № 169.

3. ეს საზოგადოება დაიქირავებს მე-ურნეს, მეღვინეს და სხვა მცოდნე პირთ, რომელნიც [illegible]

[illegible] ჩვენ თვითონ დავიწყებთ ვაჭრობას ჩვენის წევრების ხელით და შემწეობით. მუყიდველსაც იაფად მივაწვდით და ჩვენც ხომ მოგებაში დავრჩებით. თორემ აბა ეხლა რასა ვხედავთ: ჯერ ისევ გაზაფხულიდან დაიწყებენ ჩარჩები გაჭირვებულ ხალხის (და ჩვენში ვინ არ არის გაჭირვებული!) ბადეში გაბმას—1 მან. საქონელს აბაზად იკვეთავენ; მერე დაიწყება კალოობა და ჩვენი დედაკაცები, ცხადათ და მალვით, ერთმანეთის ჯიბრზედ ნახევარს სულადს კევსა და უბრალო წვრილმან რამეებში მანეთიანს ორ შაურად ასაღებენ. შემდეგაც ჩარჩები ეძებენ ვინ უფრო გაჭირვებულია და ერთ თუმანში ორ მანეთს (და ძალიან ბევრს ხუთ მანეთს) აძლევენ. ვინც ძალიან გაჭირვებული არ არის, იმას ცოტა მეტს აძლევენ მაშინ, თუ **მუქთად** ცოტა საქონელი ჩაიგდეს ხელში, თორემ არც იმას მისცემენ მეტს. ხშირად იმისთანა შემთხვევაც კი არის ხოლმე, რომ შემოდგომაზე საპალნე ღვინოში ისევ ჰაჰაზე 75 მან (შვიდ თუმან ნახევარს) გვაძლევენ და გაზაფხულზე იმავე ღვინოში ორჯერ და სამჯერ გადაღებულში ხუთ თუმანზე მეტს აღარ იძლევიან. აქედან წარმოსდგება ის, რომ ყველა ჩვენგანი სცდილობს თავის დროზე გაასაღოს საქონელი და იმისთვის ერთმანეთს ვეჯიბრებით, ვინ უფრო იაფად მისცემს და ვინ უფრო მეტს დაუსხამს შესანდობარს, და ორიოდე გირვანქა შაქარსა და გირვანქის მეოთხედ ჩაიში—ორსა და სამ ჩაფს ღვინოს აძლევენ. ყველაზე დასაფიქრებელი ის არის, რო ერთსა და იმავე ღვინოში, ერთსა და იმავე ქვევრში ზვრის პატრონს რო სირაჯმა 8 თუმანი მისცეს—მეზვრეს 6 თუმანს მეტს არ მისცემს, რადგან მეზვრე უფრო გაჭირვებულია. დაუკვირდით რა მოგველის ყოველივე ამის გამო და ისე განსაჯეთ!

4. თუ ვინიცობაა წევრი არ დასთანხმდა კომისიის ფასს, ნაკლებ არ შეუძლიან გაჰყიდოს საქონელი, მეტ ფასში კი შეუძლიან; მხოლოდ საზოგადოება პასუხის მგებელი არ იქნება, თუ ვინიცობაა წევრმა ეს ვერ მოახერხა და იზარალა.

5. კითხვა იბადება: თავის დროზე რომ ვერ გაგვიყიდოს ამხანაგობამ ჩვენი საქონელი, როგორ წავიდეთ იოლად, ისევ მევახშის ხელში არ ჩავცვივდებით? ამაზე იზრუნებს საზოგადოება, ეცდება იშოვნოს იაფფასიანი სესხი და გაჭირვებულ წევრებს დაურიგოს—მაგრამ სესხი არ მიეცემა წევრს იმაზე მეტი, როგორც დაფასებულია კომისიისგან იმის საქონლის ნახევარი, ეს პირველ ხანებში; მერე როცა საზოგადოების საქმე უკედ წავა, მაშინ სარგებელს ან სრულებით არ გამოართმევს საზოგადოება თავის წევრს, ან კიდევ ძალიან ნაკლებს.

6. იმისთვის, რომ სესხი ვიშოვნოთ და ჩვენს წევრებს ხელი გაუმართოთ—აჭიროა რაიმე გირაო ბანკების მისაცემად. მთლად ჩვენი ქონება რომ მივცეთ ბანკებს გირაოდ—ეს ძალიან სახიფათოა. უნდა ყველაფერი გათვალისწინებული გვქონდეს; იმისთანა საქმეს უნდა მოვკიდოთ ხოლმე ხელი, რომ რაც უნდა დიდი ზარალი მოგვივიდეს, მაინც არ დავიღუპნეთ. ამისათვის ჩვენ გადავწყვიტეთ—რადგან საწევრო შესატანი მარტო ერთ ხანად თუმან შემოსავალზე ორი შაური იქნება იქნება, ბანკებს სესხის გირაოდ მივცეთ თუმნის შემოსავალზე 2 მანეთის პირობა; ამაზე მეტი პასუხის გება წევრს არავის წინაშე არ ექნება, ესე იგი, რაც უნდა ზარალი მოუვიდეს საზოგადოებას, ის წევრი, რომელსაც ათი თუმანი შემოსავალი აქვს—20 მანეთზე მეტს არასოდეს არ იზარალებს.

მაშ გავბედოთ, მოვკიდოთ ამ საქმეს ხელი და იმედია, რომ კეთილად დაგვირგვინდება ჩვენი მუშაობა. ჩვენშია ამ გვარი საქმე ახალი ხილი, თორემ განათლებული ქვეყნები მოფენილია ამ გვარ ამხანაგობებით და ბევრსაც სარგებლობენ. აი თვით იმერეთშიაც არის ასეთი საზოგადოებები, რომელთა შემწეობითაც, მაშინ, როცა ჩვენ აბრეშუმის პარკში 12-15 გვაძლევენ, იმათ თავიანთ წევრებს 25 მან. დაურიგეს. რამდენს ჩვენთაგანს ატყუებენ ვაჭრები წონაშიაც—ამაზე ხომ აღარა ღირს ლაპარაკი!

ეხლა გადავიდეთ იმაზე, თუ ვინ ჩავაყენოთ საქმის სათავეში—იმაზე მოვიგონოთ ძველი თქმულება: „ასჯერ ზომვა, ერთხელ ჭრაო—წერია მეფეთ ქებულთაო“. აქ უნდა ვეცადოთ, რომ ნათელმირონობას და ნათესავ-სისხლ-ხორცობას კი ნუ გამოვეკიდებით, მოვნახოთ საქმის მცოდნე, მუყაითი, პატიოსანი პირნი და მათ ჩავაბაროთ საქმე. თუნდ სხვაგნიდანაც დავიბაროთ ამ გვარი ხალხი. მაგრამ მათ კი არ უნდა მოვახვიოთ თავს ყველაფერი და ჩვენ არხეინად კი არ უნდა წამოვწვეთ,—არა, ყოველთვის ჩვენ თვალსა და ხელ-ქვეშ უნდა ვიყოლიოთ ისინი, დაუყენოთ მათ ხშირად მოულოდნელი კონტროლი; ყველა ჩვენგანმაც შეძლებისამებრ თვალ-ყური ვადევნოთ, თუ შევატყეთ რაიმე საზარალო, თავის დროზე მოუაროთ საქმეს, ვიდრე იგი სრულიად წახდებოდეს. ანგარიში ყველას დაწვრილებით მოვთხოვოთ ხოლმე და ეს ანგარიში გაზეთებშიაც გამოვაცხადებინოთ. ვიქონიოთ მხედველობაში, რომ გაზეთში ამას წაიკითხავს ბევრი ქვეყნისთვის გულშემატკივარი და, თუ საზოგადოების საქმეს ხიფათი მოელის, გამოგვესარჩლება და საზოგადოებას ამით ზარალს თავის დროზე ავაცდენთ.

დაწვრილებით წესდებას ჩვენის საზოგადოებისას მიიღებთ, როცა მთავრობისაგან დამტკიცებული დაგვიბრუნდება, ეხლა კი მოკლედ გადმოგცემთ ჩვენის წესდების უმთავრეს შინაარსს.

**გაზეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წესდების პროექტი.**

I მიზანი საზოგადოების დაარსებისა:

საზოგადოებას მიზნად აქვს დახმარება გაუწიოს სოფლის მეურნეთ:

ა) გაასაღოს სოფლის მეურნეთა ნაწარმოები მათთვის ხელსაყრელ ფასად; ბ) შეიძინოს იაფფასად მეურნეობის ყველა უსაჭიროესი საგნები პირდაპირ მწარმოებელთაგან, რამდენადაც ეს მისთვის შესაძლებელია; გ) გააუმჯობესოს და გააძლიეროს კახეთში სოფლის მეურნეობა.

II საზოგადოების შედგენილობა:

1. საზოგადოება შესდგება რიცხვით განუსაზღვრელ წევრთაგან. წევრობა შეუძლიან ყველას, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, თუ რომ ისინი კახეთში (თელავის, სიღნაღის და თიანეთის მაზრებში) მისდევენ სოფლის მეურნეობას, როგორც მესაკუთრენი, მოიჯარადენი, ან მოურავნი, ისე იმ პირთ, რომელნიც მისდევენ სამეურნეო მრეწველობას.

**შენიშვნა:** როდესაც განვითარდება საზოგადოების საქმე, შესაძლებელია წევრებად მიღება საზოგადო კრების გადაწყვეტილებით, აგრეთვე ტფილისის გუბერნიის სხვა მაზრების სოფლის მეურნეთა.

2. ყველა წევრი ვალდებულია საზოგადოებაში შესვლისთანავე წარადგინოს საწევრო შესატანი ფული, როგორც ეს აღნიშნულია ამ წესდების მე-§ 8.

§ 3. ყველა წევრს ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს ყველა ოპერაციაში აღნიშნულთ მხოლოდ იმ პირობით, რომელიც შემუშავებულია საზოგადო კრებისაგან; ნება აქვს ისარგებლოს საზოგადოების ყველა დაწესებულებით; შეუძლიან წარუდგინოს გამგეობას და მისი შემწეობით საზოგადო კრებას თავისი პროექტები და მოსაზრებანი შესახებ სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებისა და საზოგადოების მოქმედებისა.

§ 4. წევრები პასუხს აგებენ ზარალის დროს 20-ჯერ მეტს ერთდროულ შესატანის ფულისა.

§ 5. წევრებს არ შეუძლიანთ გამოვიდნენ საზოგადოებიდან, სანამ ორი წელიწადი არ გავა მათის საზოგადოების წევრობისა.

§ 6. წევრები, რომელნიც არ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, წესდებაში ნაჩვენებს, ირიცხებიან საზოგადოების წევრობიდან და ეკარგებათ ყველა მათ მიერ შეტანილი გარდასახადი ფული და პასუხს აგებენ, თანახმად § 5—ორი წლის განმავლობაში.

§ 7 წევრის სიკვდილის შემდეგ ყველა მისი უფლება და მოვალეობა გადადის მის მემკვიდრეზე.

§ 8. საწარმოებელი თანხა შესდგება: ა) ერთდროულ საწევრო შესატანისაგან 1% მთელი შემოსავლისა მემამულეს და ½% არენდატორს; ბ) საშუამავლო გადასახადისაგან გასაღებულ საქონელზე 5% წევრთაგან და 10% არა წევრთაგან.

**შენიშვნა:** საზოგადოებას ნება აქვს წლიურ კრებაზე ეს გარდასახადი შესცვალოს.

III საზოგადოების ოპერაციები (მოქმედება), მისი უფლება და მოვალეობა.

§ 1. თავის მიზნის მისაღწევად საზოგადოება სცდილობს:

ა) გაასაღოს ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო ნაწარმოები, რისთვისაც იღებს, როგორც თავის წევრებისაგან, ისე საზოგადო კრების გადაწყვეტილებით, არა წევრთა ყოველნაირ სამეურნეო ნაწარმოებს გასასაღებლად, ან ნიმუშებს ნაწარმოებთა გამოსაფენად, აგრეთვე ხსნის და ინახავს რუსეთის იმპერიის საზღვრებში და საზღვარ გარედ ბიუროებს, მაღაზიებს, დუქნებს, საწყობებს, სარდაფებს, საშუამავლო აგენტურას, კანტორას, მაშინებს, ქარხნებს იარაღისა, მაშინებისა, მასალისა—ადგილობრივ მეურნეთა სახმარებლად. ბ) აარსებს საწყობებს იარაღებისას, თესლეულებისას და საზოგადოდ ყველა საგნებისას, რომელნიც საჭირონი არიან სოფლის მეურნეთათვის, აგრეთვე აარსებს საწყობებს მოსახმარებელ ნაწარმოებთა ადგილობრივ მცხოვრებთათვის მისასყიდად.

§ 2 კავშირზე დაკისრებულ მოვალეობის დაკმაყოფილების შემდეგ, დარჩენილი ქონება და ნაღდი ფული მოხმარდება მთელის კახეთის სამეურნეო წარმოებას და განათლებას.

## წერილი სპარსეთიდან

**სპარსეთისა და ოსმალეთის ჯარის შეტაკება.**

ერთ თვეზე მეტი იქნება, რაც მეჯდი სალტანემ (ანჯუმანის თავმჯდომარეა ურმიაში) ურმიის მაზრაში შეჰკრიბა ჯარი, ხუთიათას კაცამდე. ქალაქებმა თავრიზმა და ხომ ორი დიდი ზარბაზანი მოაშველეს. ამ ჯარით ივნისის შუა რიცხვებში მეჯდი სალტანე დაიძრა ურმიიდან თარგავარ-მარგავარისკენ (მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთით ურმიიდან, მოლცე ვერსზე), სადაც მოსახლეობენ სპარსეთის ქვეშევრდომი ქურთები, რომელნიც მოსვენებას არ აძლევენ ურმიის ახლო-მახლო სოფლებს: ჰხოცავენ ხალხს და იტაცებენ ყველაფერს. მეჯდი სალტანეს აზრადა ჰქონდა, მათთვის იარაღი აეყარა და დაემშვიდებინა ის კუთხე. მთელი ერთი თვე იქნება სპარსეთის ჯარი თარგავარის თოვლიან მთის კალთებზე ელოდა ქურთებისაგან მორჩილებას; სურდა უომრად საქმის დაბოლოვება, მაგრამ ქურთები არა თუ მორჩილებას არ უცხადებენ, არამედ შეებრძოლნენ კიდევაც და დიდი ზარალიც მიაყენეს სპარსელებს. ამ უკანასკნელთ 50 კაცამდე დაჰკარგეს, ხოლო ქურთები მთის მწვერვალზე გამაგრდნენ. ამასთან ქურთებმა ეს ამბავი აცნობეს ლაჯანში და იმის ახლო-მახლო მყოფ ოსმალოს ჯარის დახმარება სთხოვეს.

19 ივლისს, ესე იგი გუშინ, ოსმალოს ჯარი დაეცა სპარსელებს და დაემუქრა ამოჟლეტას, თუ სამი საათის განმავლობაში არ გავიდოდნენ იმ ადგილიდან. ამ მოკლე ვადაში (ნახევრის) რას მოასწრებდნენ და კიდეც ამიტომ სპარსელებს თითქმის ნახევარი ქონება—საომარი იარაღი, თოფი, ზარბაზანი, ტყვია-წამალი, ბამბის კარვები იქ დარჩათ და თვითონ დამე ურმიაში გამოიქცნენ. როგორც ამბობენ, ოსმალოს ჯარი კარგა ხანია იმ მხარეში ბანაკობს.

ოსმალეთი არა მარტო თარგავარს და აგრეთვე მთელ ადერბეიჯანის ოლქს თავის საკუთრებად სთვლის და ამაზე დიდი მოლაპარაკებაა ორ სახელმწიფოს შორის. ჰფიქრობენ, რომ საქმეში რუსეთიც ჩაერევა. თარგავარ-მარგავარის პატრონმა ურმიელმა ხალარმა (ხანია) ამას წინად ტფილისში რუსის ბანკს დაუგირავა მთელი თავისი ზემოხსენებული მამული იმ მოსაზრებით, რომ მამული არ დაეკარგოს. ბანკმა ამას წინად თავისი წარმომადგენელი გამოგზავნა, გვარად ორლოვი, რომელმაც მამულს უნდა მოუაროს. მკითხველი მიჰხვდება, რომ ამ საქმეს რაღაც სხვა სუნი უდის.

ოსმალეთის ჯართან შეტაკების შესახებ დეპეშა გაგზავნეს შაჰხთან, მაგრამ პასუხი ჯერ არ არის. ქურთები ძლიერ ახლოს არიან ურმიაზე და სპარსეთის რამდენიმე სოფელი შიშით კიდევ აიბარგა და ურმიაში გარბის. რით დაბოლოვდება ეს საქმე, მომავალი გვიჩვენებს.

**ქართველი ურმიაში.**

# პროვინციის ცხოვრება

**ქ. თელავი.** თელავ-ტფილისს შუა მცირე მანძილია (სულ 95 ვერსი), მაგრამ მიმოსვლა მაინც გაძნელებულია, რის გამოც უცხო პირნი ძრიელ ნაკლებად ეტანებიან აქეთ მხარეს. მგზავრობის საქმე არ არის წესიერად მოწყობილი. თელავ-ტფილისს შუა ომნიბუსები აქვს ედიგაროვს, რომელსაც ფოსტის სადგურებიც აქვს იჯარით აღებული. ბილეთი 4 მან. ღირს, მაგრამ არა პირდაპირი გადასახადიც რომ მიემატოს, რატო 5 მან. მეტი არა ჯდება. ყოველ სადგურზე ცხენების გამოცვლის უმალვე ქუდ მოხდილი მეეტლე დაადგება მგზავრს თავს და ისიც იძულებულია გამოწვდილ ხელში ჩაუდოს 15—20 კაპ, თვით მეეტლენი იმდენად დამნაშავენი არ არიან. ისინი შორი ქვეყნიდან გადმოხვეწილან ორიოდე გროშის საშოვნელად. ამათ კარგად იციან, რომ ადის ჯამაგირი არ ეყოფათ და მგზავრების საჩუქარსაც ანგარიშობენ. ამ რიგად, მგზავრები ბილეთის ფულს იხდიან და მოსამსახურეების ჯამაგირების მიცემაშიაც ეშველებიან ომნიბუსების პატრონს. ეს არაფერი, რომ მიმოსვლა წესიერად იყოს დაყენებული. სადაც უფრო საჭიროა, იქ შესაფერი ცხენები არა ჰყავთ და კუს ნაბიჯით უხდებათ სიარული. ზოგჯერ ბილეთებსაც მეტსა ჰყიდიან ხოლმე, ადგილი კი არ არის, ორის ადგილას სამი ჯდება და სხვა ადგილის დაჭერის დროს საშინელი ამბავი და აღიაქოთია ხოლმე. მაგრამ რას იზამთ: უარესადაც რომ იყოს მოწყობილი, თელავის მცხოვრებთ მაინც სხვა გზა არა აქვთ...

ყველა ამას შემდეგ ადვილი გასაგებია თელავისა და მაზრის მცხოვრებნი როგორ გაფაციცებით ეძებენ ხოლმე გაზეთებში კახეთის რკინის გზის ამბავს და ნატრობენ იმის განხორციელებას, მაგრამ ყველა ეს ოცნებათა რჩება. **—ლი.**

**ს. კაკაბეთი** (სიღნაღის მაზრა). 29 მკათათვეს ქოდალოს ნაწილის ბოქაულის თანადასწრებით სოფ. კაკაბეთში მოხდა ყრილობა. სჯა-ბაასის შემდეგ საზოგადოებამ ბოქაულს გამოუცხადა, რომ ამ წლის ენკენისთვიდან ვხსნით სკოლასაო. თანაც სთხოვეს ბოქაულს, აცნობოს სადაც საჭიროა, დაენიშნოთ მათ მასწავლებლად ნიკოლოზ ციქუბაძე, რადგან ამას საზოგადოება კარგად იცნობს და ენდობა. დაადგინეს განაჩენი და, სადაც ჯერ არს, გაგზავნეს. დაადგინეს აგრეთვე მოიწვიონ გამოცდილი ფერშალი.

მოსავალი ძალიან მცირეა და გლეხს დიდი გაჭირვება მოელის. ამის მიუხედავად აქაური მღვდლები ძველებურად სთხოვენ გლეხებს კოდ პურს.

აქეთკენ ცარცვა-გლეჯას ბოლო არ ედება. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით აქ ბოქაულმა დაბეჭდა ლევან პავლიაშვილის დუქანი. მას აბრალებენ ავაზაკების შენახვას. ეხლა სოფლელებმა განაჩენი დაადგინეს, რომ მათ მასთან არავითარი ავაზაკები არ უნახავთ და სთხოვეს გენ.-გუბერნატორს მისი განთავისუფლება.

**ტეტიაზ შვილის-შვილი.**

**აბასთუმანი.** აუარებელი ხალხი მოაწყდა წელს აბასთუმანს. სახლის პატრონებმა ქირას ერთი ორად აუწიეს. სახლის შოვნა მეტად გასაჭირია. სანოვაგეს ფასმაც ძლიერ იმატა. მიუხედავად იმისა, ყოველ დღე მრავალი ხალხი ჩამოდის.

ტფილისის გაზეთები თითქმის ყველა მოდის, მაგრამ გამყიდავები ცალს 7-8 კ. ჰყიდიან. რომელიც გაზეთი გნებავთ აიღოთ, 7 კაპეიკზედ ნაკლებ ვერ იშოვით, გარდა „ტიფ. ლისტოკისა“, რომელიც ღირს 6 კაპეიკად.

წელს ძლიერ მოწყენაა, გაიძახიან მარშან აქ ნამყოფნი, თუმცა წელს მეტი ხალხიაო. ჩვენებურ ინტელიგენტთა გუნდს მოსწყინდა აბასთუმანში—გადასწყვიტა განმორებოდა ერთის დღით მაინც და გაენავარდნა მთის წვერვალზე. 28 ივნისს, ღამის 2 საათზედ, 12 ეტლით 50 კაცი და ქალი გაემართა „პერევალისაკენ“. დილის 4 საათზედ უკვე მწვერვალზე იყვნენ, დასტკბნენ, შემდეგ ჩამოვიდნენ ძირს მწვანეზედ და გაშალეს მამა-პაპური სუფრა. ცოტა რომ შეზახოშდნენ, იძვრეს რევოლვერები და იწყეს სროლა. ამ სროლაზე გაჩნდა 3 კაზაკი. ვინ ისროდაო, შეეკითხნენ. ყველამ უარი სთქვა. ამ დროს მიიხედ-მოიხედეს კაზაკებმა და ხეზე დაინახეს 2 დლევორველი ჩამოკიდული. დლევორველები ჩამოიღეს და ერთი კაზაკი აფრინეს „პოსტზედ“, საიდგანაც მოზავდა 40 კაზაკი. ცუდი დაადგათ მოქეიფეებს. ზოგს შლიაპა დარჩა, ზოგს პალტო, ზოგს კიდევ რა... **ზაკაკ.**

# რუსეთი

**პოლონელ მემამულეთა კრება.** პოლონელ მემამულე არისტოკრატიას ამას წინად საარჩევნო კრება ჰქონდა. კრებამ გადაჭრით უარჰყო პოლონელ ავტონომისტებთან საარჩევნო კავშირი და გადასწყვიტა მეუერთდეს ყველა ეროვნების ზომიერთა კავშირს.

**სამხედრო სასამართლო.** ადესის სამხედრო სასამართლოში მისცეს 17 ჯარის კაცი საპიორთა მე-11 ბატალიონისა. მათ ბრალდებათ აჯანყებისთვის მზადება, ჯარში აგიტაცია და რევოლიუციონურ მიტინგებზე პროპაგანდა.

**საარჩევნო კრებები პოლონეთში.** თუმცა პოლონეთის სოციალისტურმა პარტიებმა გადასწყვიტეს მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღება, მაგრამ საარჩევნო პროპაგანდასა და აგიტაციას ვერ ახერხებენ. სამაგიეროდ თავისუფლად იკრიბებიან მემამულენი, არისტოკრატები და „ჭეშმარიტი რუსი პოლონელები“. მინსკის გუბერნიაში რუს მემამულეთა კრებამ გადასწყვიტა პოლონელ მემამულეებთან შეკავშირება. პოლონეთის მსხვილმა მემამულეებმა გადასწყვიტეს რუსებთან შეკავშირება, მაგრამ წვრილმა მემამულეებმა ასეთი კავშირი უარჰყვეს.

**პორნოგრაფია.** ქართველ მკითხველებს კარგად ეხსომებათ ცნობილი შავრაზმელი პრივატ-დოცენტი გრენი, რომელსაც არა ერთხელ გამოულაშქრნია საზოგადოდ არა-რუსებზე და კერძოდ ქართველებზე. ეხლა ამ „პატრიოტ“ პროფესორს საიდუმლო „პატრიოტულ“ ჟურნალის გამოცემა დაუწყია. ამ დღეებში მოსკოვის პოლიციამ დააპატიმრა ახალგაზდა მოსწავლე, რომელსაც პორნოგრაფიული ჟურნალი დაჰქონდა გასასყიდად. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ავტორი და გამომცემელი ამ ჟურნალისა ყოფილა პრივატ-დოცენტი გრენი, ხოლო დაპატიმრებული ახალგაზდა მისი შვილი.

**პოლონეთი.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დაიკეტა პოლონეთის სახალხო დემოკრატიულ პარტიის კლუბები ვარშავასა და სხვა ქალაქებშიაც.

რუსეთის მთავრობას მეორე ციმბირი აღმოუჩენია. ეს არის პოლონეთი, სადაც დაიწყეს პოლიტიკურთა გადასახლება. ამას წინად ლიუბლინის გუბერნიაში მიუყვანიათ ბაქოდან ერთი პარტია გადასახლებულთა.

ლოძში დაარსებულია სახლის პატრონთა კავშირი. მათ აზრად ჰქონდათ არ მიეღოთ ისეთი მდგმური, რომელიც დროზე არ იხდიდა ქირას. თუ ვინმეს უნდოდა ბინის დაქირავება, მას მოწმობა უნდა წარედგინა იმის შესახებ, რომ მან გადაიხიდა იმ ბინის ქირა, სადაც იდგა უკანასკნელად. ამ კავშირის საწინააღმდეგოდ დაარსდა მდგმურთა კავშირი, რომელმაც ბრძოლა აუტეხა ზემოხსენებულ კავშირს. ბრძოლა იმდენად გამწვავდა, რომ ერთ [illegible] სახლის პატრონი მოჰკლეს

ლოძში ვინმე „[illegible] [illegible] რი ორგანიზაციები პოლიციას [illegible] უცნობი ჯერ მაწანწალა და სალახანა ყოფილა, მაგრამ მერე შეპარულა სოციალისტურ ორგანიზაციებში და სამგან ჩაწერილა წევრად: „ბუნდთან“, პოლ. სოც. პარტიასა და სოც. დემოკრატ. ორგანიზაციაში. „ნოეხმა“ სამივე ორგანიზაციის მეთაურები გაიცნო და ერთ დღეში ყველანი დააჭერინა. შემდეგ ჩაჯდა ეტლში, გაიძღოლა წინ კაზაკები და დაიწყო ქუჩებში ნადირობა. ერთ თვეში მისი ჩვენებით დააპატიმრეს ხუთასზე მეტი პარტიული მომუშავე.

**დათხოვნილი მუშები და ჭეშმარიტი რუსები.** პეტერბურგში ერთ ქარხნიდან რამდენიმე ჭეშმარიტი რუსი მუშა დაუთხოვნიათ. ამ მუშებს ჭეშმარიტ რუსთა გამგეობისთვის უთხოვნიათ, დღეში თითოს 50 კ. გვაძლიეთ და შეგვინახეთ, თორემ რევოლიუციონერებთან გადავალთ და თქვენ საქმეებს გამოვამჟღავნებთო. გამგეობას გაუგზავნია მათთვის რაზმელები და უპასუხნია, არც ფულს მოგცემთ და არც სხვა პარტიაში გადასვლის უფლებასაო, და თუ ხმა ამოგიღიათ, ამ ქვეყანას ეხლავე გამოგესალმებითო.

**თხოვნა.** მოსკოვის ქალაქის მოურავს თხოვნა მიუცია გუბერნატორისთვის და გრადონაჩალნიკისთვის, სადაც კანონის ძალით თხოულობს, რომ იმ მუშებს, რომელთაც საარჩევნო ბინის ცენზი აქვთ, არ მიეცეთ საარჩევნო უფლება მხოლოდ პირველ კურიაში, არამედ მუშათა კურიაში. ამ თხოვნის მიზანი ცხადია: მოურავს სურს შეასუსტოს ოპოზიცია პირველ კურიაში, რომელსაც გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მუშათა კურიას.

**მღდლის დასჯა.** ვორონეჟის მღვდელს ზამახაევს ერთ კრებაზე უთქვამს, რომ ქრისტე პირველი რევოლიუციონერი იყო. ამის გამო სინოდმა გაბედული მღვდელი სასტიკად დასაჯა: აუკრძალა მღვდლობა და მონასტერში გაგზავნა ცოდვის მოსანანიებლად.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

## რუსეთში.

2 აგვისტო.

**სევასტოპოლი.** მძიმედ დასჭრეს ჟანდარმთა ვახმისტრი. მოჰკლეს მისი შვილი, რეალისტი.

**გროდნო.** დანდვაროვოში შეიპყრეს ერთი ახალგაზდა ებრაელი, რომელსაც აღმოაჩნდა 13 გატენილი ყუმბარა და ყუთი დინამიტი და პატრონებით სავსე.

**კიევი.** კაზანსკის რკინის გზის ფოსტის განყოფილებაში ვიღაც უცნობებმა შერჩეულის გასაღებით საკუჭნაო გააღეს და მოიპარეს 141 პაკეტი 25,221 მანეთით.

**პერმი.** 31 ივლისს ვერხოტურინსკის მაზრაში სოფ. ფილკინაში გაძარცვეს საარყე დუქანი. მცხოვრებნი გამოუდგნენ მძარცველებს და ერთი მათგანი დასჭრეს. ბოროტ-მოქმედებმა ყუმბარა გადააგდეს, რომელიც აფეთქდა, მაგრამ ზიანი არავისთვის არ მოუტანია. აურ-ზაურში ბოროტ-მოქმედები მიიმალნენ.

**პეტერბურგი.** გროდნოსა, ეკატერინოსლავსა, ხარკოვსა და იაროსლავში წინ და წინ ზომებს იღებენ, რომ ხოლერა არ გავრცელდეს. გროდნოსა და ბრესტ-ლიტოვსკში რამდენიმე კაცი ხოლერის მსგავს ავადმყოფობით გახდა ავად. ერთი მათგანი გარდაიცვალა.

**ლუცკი.** ებრაელთა მემარჯვენენი პოლონელ აგრარიებთან ბლოკსა ჰკრავენ-მემარცხენენი კი—გლეხებთან.

**პენზა.** სარანის საგლეხო ბანკმა შეიძინა ათი მამული, ზომით 5423 დესეტინა. ეს მამული მიწის მომწესრიგებელ კომისიას გადასცეს.

**პროსკუროვი.** გრაფ გრეზოვსკის მამულში, სოკოლოვკაში, მოჰკლეს მოურავი, მისი ცოლი და ორი მოსამსახურე ქალი.

**ოპაცოვი.** სოფ. პოდზეკოვოში მოჰკლეს საეროზო დარაჯი.

**ვილნო.** ვილნოს ფოსტა-ტელეგრაფის 48 მოხელე სამართალში მისცეს. აბრალებენ სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის ვილნოს რაიონის მოწყობას და გაფიცვაში მონაწილეობის მიღებას. იმათ საქმეს სამოსამართლო პალატა გაარჩევს.

**რეველი.** ფელინის ვიწრო ლიანდაგიან გზაზე სახალხო მატარებლის მესამე კლასის ვაგონში ხუთი შეიარაღებული კაცი დააპატიმრეს. ისინი მეარტელეს გაძარცვას უპირებდნენ.

**სერაპული.** იჟოვსკში მამასახლისის სახლში შეაგდეს ყუმბარა. არავინ არ დაშავებულა. ოთხი კაცი დააპატიმრეს.

**პენზა.** მოკშანის 22 საეროზო ხმოსნიდან ორი კადეტია, ერთი ს.-დემოკრატი, დანარჩენი მონარქისტი.

**პეტერბურგი.** საპატიმროთა მთავარმა გამგეობამ განმარტა, რომ სატუსაღოში ცალკე გამოიყოფიან მხოლოდ ის პოლიტიკური დამნაშავენი, რომელნიც სამართალში არიან მიცემულნი, მაგრამ საქმე გადაწყვეტილი არ არის. სასამართლოს განაჩენის შემდეგ პატიმარნი ერთნაირად იხდიან სასჯელს და ერთ კატეგორიაში უნდა იყვნენ მოთავსებულნი. გამონაკლისს შეადგენენ ისინი, ვინც საპატიმროში რასმე დააშავებს და კერძო რეჟიმის ქვეშ იმყოფება. როცა პატიმარს სახელმწიფო დანაშაულთან სხვა რამ დანაშაულსაც აბრალებენ, მაგალითად, ან ქურდობას ან მკვლელობას, მაშინ ის უნდა ამყოფონ საპატიმროში, თანახმად 1904 წლის 1 ნოემბრის კანონისა, რომელთაც საპატიმროს უფროსს ვალად ედება, პოლიტიკურ დამნაშავეს განსაკუთრებული თვალ-ყური ადევნოს ხოლმე.

**რიგა.** ხალხმა გააჩერა პატიმართა ჯგუფი, რომელიც ოლქის სასამართლოდან სატუსაღოში მიჰყავდათ. ერთმა კაცმა პატიმრის განთავისუფლება მოინდომა და უნტერ-ოფიცერს თავში ჯოხი დაარტყა. კონვოიმ სროლა ასტეხა. ერთი კაცი დაიჭრა.

**ირკუტსკი.** მეიჯარადრის რიფის კანტორის მოხელემ სიჩევმა საინტენდანტოდან 1,744 მანეთი გაიტანა და მიიმალა.

**ჩერნიგოვი.** კანატოპის მაზრი სოფ. კრასნი პოლიადინში მოიტაცეს ვექსილისა და პასპორტის ბლანკები და გერბის მარკები.

**ლოძი.** ლოძის მახლობლად პაბიანიცის გზატკეცილზე მოჰკლეს საეროზო დარაჯი, ვარშავის ქუჩაზე მოჰკლეს მუშა.

**ვორონეჟი.** დააპატიმრეს ბრბო, რომელიც ბირიუჩისა და ვალუის მაზრებში ძარცვა-გლეჯას ეწეოდა. სხვათა შორის ამ ბრბომ გაძარცვა ლივნის ფოსტის განყოფილება, სოფ. ხმელევცაში მღვდელი და ხუტორ ზლოდნეჯკაში ეკკლესია.

**კრონშტადტი.** სავაჭრო ნავთ-სადგურზე გაიფიცნენ კალუგელი მუშები. მოითხოვეს ადგილობრივ მუშებისთვის უცხოეთის გემების გადმოტვირთვის ნებართვა, ადმინისტრაციამ ამაზე უარი განაცხადა, გაფიცულების სია შეადგინა და მეთაურები დააპატიმრა. მუშაობა პოლიციის თანადასწრებით ხდება. მუშა ხელი ნაკლებადაა.

**ეკატერინოსლავი.** სოფ. ამურში პარტიულ ნიადაგზე მოჰკლეს მუშა.

**მარიუპოლი.** ნავთ-სადგურის მუშები გაიფიცნენ. მოითხოვეს ხელ-ფასის მომატება. ნავთ-სადგურში ჯერ-ჯერობით პური ნაკლებად მოაქვთ. ექსპორტერები თათბირის გამართვას აპირებენ.

**პეტერბურგი,** ხოლერით ავად გახდა 4 კაცი, მოკვდა ერთი. 31 ივლისს ავად გახდა 14, გარდაიცვალა 4. სენის დაწყებიდან 1 აგვისტომდე ავად გახდა 132 კაცი; გარდაიცვალა 36 კაცი. 1 აგვისტოს ასტრახანში ხოლერით ავად 7 კაცი გახდა. სულ 22 ივლისიდან 2 აგვისტომდე 35 კაცი გახდა ავად; ექვსი გარდაიცვალა.

3 აგვისტო.

## უცხოეთი

**პარიზი.** „მატენი"-ს აზრით, ვილჰელმსგეფში მეფეთა შეხვედრას (ინგლისის ედუარდისა და გერმანიის ვილჰელმისა) ის მოტივი აქვს, რომ გააქარწყლოს ყოველგვარი ეჭვი, ვითომ ინგლისს-რუსეთის შეთანხმება გერმანიის წინააღმდეგ იყოს მიმართულიო.

**ნიუ-იორკი.** ტელეგრაფისტთა გაფიცვაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ორივე მხარეს გამარჯვების იმედი აქვს. საკომერციო ტელეგრაფში მოსამსახურეთა კავშირმა აცნობა სავაჭრო პალატათა პრეზიდენტებს, ბირჟის და სხვა საკომერციო კორპორაციებს, რომ ერთის დღის განმავლობაში საკომერციო ტელეგრაფის ყველა მოსამსახურენი გაფიცულთ მიემხრობიანო.

**ბელფასტი.** ირლანდიის საქმეთა სტატს-სეკრეტარმა ანტონ მაკდონალდმა განაცხადა, რომ გაფიცულებთან მოლაპარაკება კარგად მიდისო.

**დემიცე** (კუნძული ელბა). დილით ადგილობრივ სადინამიტო ფაბრიკაში ზედიზედ რამდენჯერმე აფეთქება მოხდა. ფაბრიკა იწვის. ქალაქის მცხოვრებთ წინადადება მისცეს, სახლები დასცალონ. ქალაქში და ახლო-მახლო ფანჯრის მინები ჩალეწილია. ერთი კაცი მოკვდა, 7 მძიმედ და 20 მსუბუქად დაიჭრა. ზომები მიიღეს, რომ ცეცხლი ფაბრიკის საწყობში არ გადავიდეს. ცეცხლი ჯერ რ ჩამქრალა.

**ბერლინი.** პოტსდამში 1 აგვისტოს გარდაიცვალა პროფესორი კარლ ფოგელი, საფიზიკო და საასტრონომო ობსერვატორიის დირექტორი.

2 აგვისტოს გარდაიცვალა ცნობილი მესკრიპკე იოსებ იოახიმი.

**იშლი.** გამოქვეყნებულია შემდეგი ოფიციალური ცნობა: მეფე ედუარდის და ფრანც-იოსების მეგობრულმა შეხვედრამ იშლში საბაბი მისცა ინგლისის გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარს სერ გარდინგს ენახა ავსტრო-ჰუნგრეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი ბარონი ერენტული, რომელიც გარდინგთან ერთად პეტერბურგში მსახურებდა. მუსაიფის დროს ისინი შეეხნენ თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებას. აღნიშნეს ის ფაქტი, რომ ინგლისსა და ავსტროუნგრეთს შორის ტრადიციული მეგობრობა მტკიცედაა მაკედონიის შესახებ სთქვეს, რომ დაწყებული რეფორმები ეხლახან ინგლისის მიერ წარდგენილ განცხადების თანახმად ხორციელდებაო. ორივემ ერთი და იგივე აზრი გამოსთქვა იმ ახალ წინადადებათა შესახებ, რომელიც ოსმალეთის მთავრობას უნდა წარედგინოს.

რედაქტორ-გამომცემელი

ე. ავალიშვილი.

# გამოსადეგი ცნობანი

მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)

(ფრჩხილებს გარეშ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ტფილისიდან მიდის

**ბაქოს:** 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

**ბათუმს:** 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3წ.).

**ბორჯომს:** 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.).

ტფილისში მოდის.

**ბაქოდან:** 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ.; (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.).

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2 საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.) 3); სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.); 2). საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

**ერევან-ყარსიდან:** 1) საფოსტო, დილის 5 ს. (5 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.).


# განცხადებანი

## კლინიკა

კბილის ავადმყოფობისა

**ლ. შტრეიხერისა**

**კბილის საექიმო სკოლასთან**

ერევნის მოედანი (პუშკინის ქ 3).

ავადმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან 1 საათამდე.

ფასი მკურნალობისა:

| | | |
|---|---|---|
| საექიმო რჩევა საზოგადოდ | | 20 კ. |
| ერთი კბილის ან ძირის ამოღება | | 20 „ |
| კბილის გაწმენდა | | 50 „ |
| „ „ არის უფრო ძვირიც | | |
| პლომბა გუდაპერჩისა | | 50 0 |
| „ „ ცემენტისა | 1 მ. | |
| „ „ მეტალიური | 1 „ | |
| „ „ ვერცხლისა ამალგამა | 1 „ | 50 „ |
| „ „ ემალისა | 1 „ | 50 „ |
| „ „ ფაი ფურისა | 3 „ | |
| „ „ არის უფრო ძვირიც 5 მან.-მდე. | | |
| „ „ წმინდა ოქროსი | 3 „ | |
| „ „ უფრო ძვირიც. | | |
| ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1 კბილი: | | |
| „ „ დიოტორიტიული | 1 „ | |
| „ „ კრამპონისა | 1 „ | 50 „ |
| ხელოვ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კავებით: | | |
| „ „ თითო კავი | 1 „ | |
| შტიფტის კბილები ოქროზე | 3 „ | |
| კორონკა ლოგანისა | 4 „ | |
| კორონკა ოქროსი ან პლატინისა პირობისამებრ | | |
| ამოღება კბილისა უტკივილო ანესტეზიით | 1 „ | |

საზოგადო ანესტეზიით—პირობისამებრ

აპარატი კბილების გასასწორებლად

ობტურატორი მაგარ ან რბილ სასის შესავსებად—პირობისამებრ.

და სხვა ოპერაციები—პირობისამებრ.

(100—ბუხ.—30)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ყოველ დღე, კვირეებს გარდა.**

**დილით:**

**ხ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ფ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**შ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტიანოვი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. მუცინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გედევანიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შმერლინგი:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ხ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—127)

## Нормальное письмо

ანუ უადრესობა პირდაპირის ხედვისა და იროხუდის წინაშე,

**იაკო გოგებაშვილისა**

ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებაში. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით დაიბარებს, წიგნაკი დაეთმობა 15 კაპ. (3—1)

**ტფილისის გუბერნიის თავ. აზნაურთა**

## წინამძღოლისგან.

სახელმწიფო ბანკის 1895 წ. 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ აზრის ძალით შესახებ იმისა, რომ ტფილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელთ დაუბრუნდეს ბანკის დასაარსებლად შეტანილი თანხა, და ფინანსთა მინისტრის მიერ 1900 წ. 8 მაისს დამტკიცებულ წესების მე-7 მუხლის ძალით, საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ის პირი, რომელსაც გადაეცა გადასაცემ წარწერით კვიტანცია შესახებ იმისა, რომ ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად თავ. **ზაალ და იოსებ ივანეს ძე ვაჩნაძეებმა** შეიტანეს ორას ოცდა ათი (230) მან., მოვალეა წარუდგინოს იგი ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭვდის დღიდან; წინააღმდეგ შემთხვევაში კვიტანციის პატრონი სამუდამოდ დაჰკარგავს ამ ფულის აღების უფლებას, რომელიც გადაეცემა თავ. ვაჩნაძეთა მემკვიდრეთ. (3—6.—3)

გამოვიდა და ისყიდება

## ა. საგუელისა

ახალი წიგნი

სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში.

წიგნი ღირს 20 კ. და იყიდება „წ. კ. გამავრც. საზოგადოების" და „**Новая Рѣчь**"-ის მაღაზ. (0—უ.—16)

## მასწავლებელთ საყურადღებოთ!

„არითმეტიკული კრებული"

ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ. მეორე ნაწ. «კრებულისა», (მიხცა) 40 კ.

**ქართული ... დედა**

ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კ.

ამ დედასთან სახმარებელი რვეულები I და II №—3 კაპ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი **ქართული წიგნები** და **სკოლებში სახმარებელი ქართულ რუსული სახელმძღვანელოები.**

მსურველს ფას დადებითაც გზეგზავნება მისამართი: Тифлисъ книжн. магазинъ „ЦОДНА".

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**

(20—193—12)

ტფილისის კბილის საექიმო

## სკოლა

## ლ. შტრეიხერისა

(შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისა) ერევნის მოედანი (პუშკინის ქუჩის ხრიდან).

თხოვნების მიღება **ორისავე სქესისაგან დაიწყო.** სწავლის კურსი 2½ წელიწადი. შესასვლელად საჭიროა მოწმობა ექვსი კლასის გათავების შესახებ. მიღება პირველ, მესამე და მეექვსე სემესტრზე. (100—ბუხ.—31)

უკვე დაიწყო ბეჭდვა და ნოემბრის პირველ რიცხვებში გამოვა ქართული

## „დროების კალენდარი"

დამდეგი 1908 წლისათვის.

„დროების კალენდარი" შეიცავს რამდენიმე განყოფილებას, რომელშიაც მოთავსებული იქნება მრავალი თანამედროვე ცნობები და ჩვენ ცხოვრებაში მომხდარი შესანიშნავი მოვლენანი.

კალენდარი იქნება დიდი ზომისა (ორ სვეტად, პარიზის ასოებით) და შეიცავს 200 გვერდს.

აგრეთვე იბეჭდება და ვინც „დროების კალენდარს" იყიდის, იმას პრემიად მიეცემა

## კედლის კალენდარი

კალენდარი იქნება დიდი ზომისა. თითო ფურცელში თითო თვე იქნება მოქცეული და ფერადის კრასკებით დაიბეჭდება.

„დროების კალენდარში" დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ქართულსა, რუსულს და სომხურს ენაზე.

**ფასი განცხადებისა:** კალენდარის დასაწყისში მთელი გვერდი ღირს 15 მან., ნახევარი გვერდი—9 მან., მეოთხედი გვერდი—5 მან.; კალენდრის ბოლოში მთელი გვერდი—12 მან., ნახევარი გვერდი—7 მან., მეოთხედი გვერდი—4 მან. ვინც განცხადებას დაბეჭდავს არა ნაკლებ 7 მანეთისა, იმას ერთი კალენდარი გაეგზავნება **უფასოდ**

**დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ამ წლის პირველ ოქტომბრამდე.**

ვინც მოისურვებს „დროების კალენდრის" რამდენიმე ცალის ერთად დაკვეთას, იმან უნდა ადრევე აცნობოს, რომელთაც 30% დაკლებით დაეთმობათ.

ადრესი: ტფილისი, ნიკოლოზის ქ., «იდეალის» სტამბა. „**კალენდრის**" გამომცემელს.

## ახლად მოწყობილი სტამბა

# „იდეალი"

ელექტრონით მსწრაფლ-მბეჭდავი.

## მიიღება ყოველგვარი საქმე რუსულ და ქართულ ენაზე.

## ფასები ზომიერია

ასრულება სუფთად და კოხტად.

ადრესი: ნიკოლოზის ქუჩა, № 6. (სტ. 0—11)

## ნამდვილი კახური ღვინო




ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომი. (100—89)